



სამართლიანი არჩევნები

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში წარდგენილი საჩივრები და სარჩევები

არჩევნების დღესა და შემდგომ პერიოდში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით „სამართლიანი ჯღონეებსა და საქალაქო და რაიონულ სასამართლოებში 78 საჩივარი შეიტანა. ისინი 4 ძირითად კატეგორიად შეიძლება დაჯგუფდეს:

- დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა
- ამომრჩეველთა უფლებების შეზღუდვა
- პროცედურული დარღვევები
 - ა) კენჭისყრის პროცედურების დარღვევა
 - ბ) შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურების დარღვევა
- საორგანიზაციო ხარვეზები

1. დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა

12 ასეთი საჩივრიდან 2 ნაწილობრივ, ხოლო 1 საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა:

- №32 გორის საარჩევნო ოლქის №72 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვადაზე აღრე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან;
- №62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქის №36 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა;
- №27 მცხეთის საარჩევნო ოლქის №24 საარჩევნო უბანზე საარჩევნო უბანი გაბათილდა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს 500 ლარიანი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა.

2. ამომრჩეველთა უფლებების შეზღუდვა

6 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 1:

- №2 ვაკის საარჩევნო ოლქის №63 საარჩევნო უბნის რეგისტრატორს დისციპლინური პასუხისმგებლობა (შენიშვნის სახით) დაეკისრა. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ იმავე სახის დარღვევა №1 მთაწმინდის საარჩევნო ოლქის №9 საარჩევნო უბანზეც დააფიქსირა, თუმცა იქ მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ორი დარღვევა – №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №16 საარჩევნო უბანსა და №6 სამგორის საარჩევნო ოლქის №54 საარჩევნო უბანზე – ადგილზევე აღმოიფხვრა.

3. საორგანიზაციო ხარვეზები

17 საჩივრიდან სრულად დაკმაყოფილდა 6:

- №59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის №71 საარჩევნო უბანზე ერთ კონვერტში მოთავსებული 4 ბიულეტენი ბათილად იქნა ცნობილი;
- №13 სიღნაღის საარჩევნო ოლქის №31 საარჩევნო უბანზე ბათილად იქნა ცნობილი 28 კონვერტი, რომლებშიც ორი ერთნაირი ბიულეტენი იყო მოთავსებული;
- №15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის №21 საარჩევნო უბანი გაბათილდა და კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს სასტიკი საყვედური გამოეცხადათ. ამავე უბანზე ორგანიზაციის კიდევ ერთი საჩივარი აღარ განუხილავთ, რადგან ზემოაღნიშნული საჩივრის დაკმაყოფილების შედეგად უბნის შედეგები უკვე ბათილად იყო ცნობილი.
- №15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის №5 საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებმა პირებს სასტიკი საყვედური გამოეცხადათ;
- №69 ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქის №21 საარჩევნო უბანზე რეგისტრატორს დისციპლინური პასუხისმგებლობა (გაფრთხილების სახით) დაეკისრა.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2საჩივარი.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2საჩივარი:

- № 59 ქუთაიის საარჩევნო ოლქის № 89 საარჩევნო უბანი – კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს, აქვე გადაატანი ყუთის თანმხლებ კომისიის წევრებს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით დაეკისრათ შენიშვნა;

- №39 ასპინძის საარჩევნო ოლქის № 1 საარჩევნო უანი – რეგისტრატორ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით მიეცა გაფრთხილება.

1 შემთხვევაში საჩივრი საფუძველზე ხარვეზი ადგილზევე იქნა აღმოფხვრილი.

4. პროცედურული დარღვევები

4.1. კენჭისყრის პროცედურების დარღვევა

24 საჩივრიდან სრულად დაკმაყოფილდა 6:

- №2 ვაკის საარჩევნო ოლქის №6 საარჩევნო უბნის რეგისტრატორი ვადაზე ადრე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან;
- №62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქის №18 საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი;
- №11 საგარეჯოს ოლქის №3 საარჩევნო უბნის წევრებს დისციპლინური პასუხისმგებლობა (შენიშვნის სახით) დაეკისრათ;
- №9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის №36 საარჩევნო უბნის რეგისტრატორს დისციპლინური პასუხისმგებლობა (გაფრთხილების სახით) დაეკისრათ;
- №59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის №11, №12, №13, №18, №23, №24, №25, №34, №37, №42, №45, №46, №51, №53, №55, №56, №58, №65, №66, №68, №71, №76, №83, №85, №90, №93, №94, №95, №96, №98, №102, №116 და №117 უბნების საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და მდივნებს დისციპლინური პასუხისმგებლობა (შენიშვნის სახით) დაეკისრათ;
- №47 მესტიის საარჩევნო ოლქში №23 საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.

ამათსანავე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა “სამართლიანი არჩევნების” მიერ წარდგენილი 6 საჩივარი:

- №68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი - №4, №5, №3, №8 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით დაეკისრათ შენიშვნა;

- №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №81 საარჩევნო უბანი – ხარვეზი აღმოფხვრა და მოხდა ნაკადის მარეგულირებელი კომისიის წევრი შეცვლა, თუმცა დისციპლინური პასუხისმგებლობა არ იქნა გამოყენებული;
- №59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის №129 საარჩევნო უბანი - კომიიის წევრი მოხნილ იქნა რეგისტრატორის პოზიციიდან, თუმცა დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრა;
- №48 ხარაგაულის საარჩევნო ოლქის №2 საარჩევნო უბანი –გადასატანი საარჩევნო ყუთი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა საარჩევნო ყუთის თანმხლე პირებს არ დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა;
- №60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის №35 საარჩევნო უბანი – გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ კომიიის წევრებს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით შეეფარდათ შენიშვნა;
- №9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის №36 საარჩევნო უბანი – რეგისტრატორს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა გაფრთხილების სახით;

4 შემთხვევაში ხარვეზი/დარღვევა ადგილზევე იქნა აღმოფხვრილი.

4.2. შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურების დარღვევა

18 საჩივრიდან 3 სრულად დაკმაყოფილდა:

- № 4 კრწანისის საარჩევნო ოლქის №14 საარჩევნო უბანზე მაჟორიტარული კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი;
- №14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის №17 საარჩევნო უბანზე ბიულეტენები ხელახლა გადაითვალა;
- №61 ლანჩხუთის საარჩევნო ოლქის №14 საარჩევნო უბანზე მდივანი ვადაზე აღრე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან;

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3 საჩივარი:

- №60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის №4, №19, №23, №37, №38 და №46 საარჩევნო უბნების კომისიების მდივნებს დისციპლინური პასუხისმგებლობა (შენიშვნის სახით) დაეკისრათ, თუმცა სრულიად დაუსაბუთებლად ამ უბნებში კენჭისყრის შედეგები

ბათილად არ იქნა ცნობილი, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მაჟორიტარულ და პროპორციულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობები განსხვავდებოდა.

- №22 მარნეულის საარჩევნო ოლქის №3, №13, №14, №16, №17, №19, №22, №23, №24, №25, №26, №28, №29, №30, №32, №33, №34, №35, №36, №39, №41, №42, №47, №48, №52, №56, №59, №61, №62, №64, №66, №67, №77, №82 და №84 საარჩევნო უბნების შემაჯამებელი ოქმების კანონდარღვევით შედგენის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი საჩივარი მხოლოდ 4 უბანთან მიმართებაში დაკმაყოფილდა და ამ უბნების შედეგები ხელახლა გადაითვალა.

- №20 რუსთავის საარჩევნო ოლქის №22, №23, №27, №42, №44, №45, №61, №76, №77, №29, №32, №34, №41, №43, №57, №62, №67, №54, №85, №14, №20, №21, №38, №65, №67 და №75 საარჩევნო უბნების შემაჯამებელი ოქმების კანონდარღვევით შედგენის გამო მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი საჩივარი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – №21, №29, №32, №38, №54, №67 და №75 უბნების კომისიების მდივნებს დისციპლინური პასუხისმგებლობა (შენიშვნის სახით) დაეკისრათ.

სასამართლოებში წარდგენილი სარჩელები

სასამართლოებში წარდგენილი 4 სარჩელიდან მხოლოდ 1 დაკმაყოფილდა და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ:

- №22 მარნეულის საარჩევნო ოლქის №3, №13, №14, №16, №17, №19, №22, №23, №24, №25, №26, №28, №29, №30, №32, №33, №34, №35, №36, №39, №41, №42, №47, №48, №52, №56, №59, №61, №62, №64, №66, №67, №77, №82 და №84 საარჩევნო უბნების შემაჯამებელი ოქმების კანონდარღვევით შედგენის გამო საარჩევნო ოლქს 4 უბნის შედეგების ხელახლა გადათვლა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაევალა, თუმცა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ სარჩელში მითითებული ყველა უბნის შედეგების ბათილად ცნობას ითხოვდა.

№51 ზესტაფონის საარჩევნო ოლქის №14 საარჩევნო უბნის მაჟორიტარული კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნა სასამართლომ არ დაკმაყოფილდა. არ დაკმაყოფილდა არც №64 სენაკის საარჩევნო ოლქის №20 საარჩევნო უბნის და №21 გარდაბნის საარჩევნო ოლქის №25 საარჩევნო უბნის ბათილობის მოთხოვნა.

საბოლოო ჯამში, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ წარდგენილი საჩივრებისა და სარჩელების შედეგად საუბნო საარჩევნო კომისიების 91 წევრს (მათ შორის მდივნებსა და თავმჯდომარეებს) დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრათ, ერთს – ადმინისტრაციული, 6 დარღვევა ადგილზევე

აღმოიფხვრა, 5 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები ხელახლა გადაითვალა, 4 უბანში რამდენიმე ბიულეტენი გაბათილდა (მათ შორის ორ უბანში – გადასატანი საარჩევნო ყუთის ყველა ბიულეტენი), ხოლო 3 უბანში კენჭისყრის შედეგები გაბათილდა (მათ შორის ერთში – მხოლოდ მაჟორიტარული კენჭისყრის შედეგები).